

უხერხემლოთა ორი ტიპის წარმომადგენლების კვებითი სტრატეგიები და მათი
მაკონტროლებელი ნერვული სტრუქტურები ევოლუციურ ჭრილში

მაგდა ალანია

ელ-ფოსტა: magda.alania@tsu.ge

ბიოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 2, 0143, თბილისი

სტომატოგასტრული განგლიები, რომლებიც აინერვირებს სამ ყბას რგოლვანი ჭიების წარმომადგენელ სამედიცინო წურბელაში დეტალურად იქნა აღწერილი [1]. ახალი მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლები იქნა აღწერილი მოდულატორულ ნეირონებშიც. კვებითი ქცევის ნეირონული საფუძვლები მუცელფეხიანი მოლუსკების წარმომადგენლებში დიდი ხანია ნეირომეცნიერული კვლევის ინტენსიური საგანია.

მიმდინარე კვლევის ამოცანა იყო დადგენილიყო კვებითი ქცევის ნეირონული ორგანიზაციის მსგავსება და განსხვავება უხერხემლოების ორი სხვადასხვა ტიპის წარმომადგენლებს შორის. მუცელფეხიანი მოლუსკების ორი განსხვავებული კვებითი სტრატეგიების მქონე ცხოველური მოდელი იყო გამოყენებული: მცენარეული საკვებით მკვებავი ტბორულა *Lymanea stagnalis* და მტაცებელი ზღვის ანგელოზი *Clione limacine*. არის განსხვავებები კვებითი ქცევის მაკონტროლებელ ნეირონულ სტრუქტურებში სამედიცინო წურბელასა და მუცელფეხიანი მოლუსკების წარმომადგენლებს შორის. ამასთან ერთად ნანახია, რომ არის დიდი მსგავსება როგორც მორფოლოგიური ისე ნეიროტრანსმიტერული პროფილის თვალსაზრისით კვებითი აქტივობის მაკონტროლებელ მოდულატორულ ნეირონებს შორის. კვებითი ნეირონული ცენტრების მოდულატორული ნეირონების მსგავსება ორი განსხვავებულ ტიპის წარმომადგენლებს შორის მიუთითებს ნეირომოდულატორული სისტემების კონსერვაციაზე ევოლუციის პროცესში.

ლიტერატურა

[1] Mesce KA, Alania MA, et al., 2018, J of Exp Biol (2018) 221, jeb17568